



საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის  
აქტი

№ 11/00

„12“ „მაისი“ 2011

ქ. თბილისი

"ვამტკიცებ"

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების  
სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ალექსანდრე არაყიშვილი

„12“ „05“ 2011 წელი

ეგზ. N2

ობიექტი:

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის  
ფინანსური და შესაბამისობის უდიტი

პერიოდი: 01/10/2010-01/01/2011

## შინაარსი / საძიებელი

|                                                                                                                                  |         |     |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---------|-----|
| ნაწილი I. შესავალი                                                                                                               |         | გვ. |
| ნაწილი II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები                                                                                        |         | გვ. |
| ნაწილი III. ძირითადი ტექსტი                                                                                                      |         | გვ. |
| 1. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა;                                                                                  |         | გვ. |
| 2. აუდიტის ობიექტის მიერ საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების განხორციელებისას მომქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის მდგომარეობა; |         | გვ. |
| 3. ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის მდგომარეობა.                                                                    |         |     |
| ნაწილი IV. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი.                                            |         | გვ. |
| აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები                                                                                              |         | გვ. |
| აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები.                                                                                          | დანართი | A   |
| გამოყენებული კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები.                                                                                 | დანართი | B   |

## I. შესავალი

ბიუჯეტის შესრულების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2011 წლის 23 თებერვლის №16/43 ბრძანება

აუდიტის ობიექტი - რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის (ორგანიზაციული კოდი 2200). იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, 0134. პ. ინგოროყვას №7. ტელ: (+995 32) 999805

აუდიტის ჯგუფი - უფროსი აუდიტორი თამაზ გურგენიძე (ჯგუფის ხელმძღვანელი);  
აუდიტორი - გიორგი მშვილდაძე.

სააუდიტო პერიოდი - 2010 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ვადა - 28/02/2011 – 18/04/2011 (დაწყება-დამთავრება)

შემოკლებანი:

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი - სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური-სახაზინო სამსახური.

### საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობის სფეროს განეკუთვნება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტური რეგიონების რეინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება, ასევე ამ რეგიონებში რელიგიურ, ეთნიკურ, პოლიტიკურ თუ სხვა საფუძველზე წარმოქმნილ პრობლემათა გადაწყვეთა, პრევენცია და კონფლიქტების მოგვარების ხელშეწყობა.

## II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

1. რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს, 2010 წლის დეკემბრის მდგომარეობით, შპს „სი თი ეს“-ის მიმართ, საზღვარგარეთ მივლინებისთვის, მგზავრობის ბილეთების დავალიანება შეადგენდა 30,6 ათას ლარს, ხოლო „წარმომადგენლობითი ხარჯები“ სს „მ-ჯგუფის“ მიმართ 2,6 ათას ლარს (სულ 33,2 ათასი ლარი). 2010 წლის 9 დეკემბერს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი იქნა 56,5 ათასი ლარი, საიდანაც სს „მ-ჯგუფს“ გადაურიცხეს დავალიანება სრულად.

დროულად არ მომხდარა ვალდებულების აღება დავალიანების მთლიან თანხაზე, ხოლო დარჩენილი დავალიანება 30,6 ათასი ლარი წლიურ ბალანსში (ფN1) ასახული არ არის.

2. არასწორად იქნა შედგენილი სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2009 წლის ბალანსი. კერძოდ: დავალიანება „წარმომადგენლობითი ხარჯები“ –ს მუხლით სს „მ-ჯგუფის“ მიმართ 2010 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 2,7 ათასი ლარს, რაც მათ მიერ არ იქნა ასახული ბუღალტრულ ანგარიშგებაში და არ იყო აღებული ვალდებულებაც. 2010 წლის 12 იანვარს დაფარული იქნა წინა წლის დავალიანება ისე, რომ არ მომხდარა შეთანხმება ფინანსთა სამინისტროსთან.

3. 2009 წლის დავალიანება ა/მანქანების მომსახურებისათვის შპს „იბერია ავტოლენდის“ მიმართ შეადგენდა 3,1 ათასი ლარს, რაც მათ მიერ არ იქნა ასახული ბუღალტრულ ანგარიშგებაში და არ იყო აღებული ვალდებულებაც, რომელიც გასტუმრებული იქნა 2010 წელს ისე, რომ არ მომხდარა შეთანხმება ფინანსთა სამინისტროსთან.

4. სახელმწიფო მინისტრი 2010 წლის 19-20 ნოემბერს იმყოფებოდა სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობაში პორტუგალიაში, ქ. ლისაბონში დაგეგმილ „ნატოს“ სამიტის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. მგზავრობის ბილეთები მიღებული იქნა შპს „სი-თი-ესი“-დან. მინისტრმა არ ისარგებლა ზემოაღნიშნული ბილეთით და დამატებით 19 ნოემბერს ნაღდი ფულით შეიძინა თბილისიდან გასამგზავრებელი ბილეთი და გადაიხდა 1 576.90 ლარი, რაც ექვემდებარება ბიუჯეტში აღდგენას.

5. 2010 წლის 2 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და შპს „პოლიტრანს“ შორის, წიგნის "ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის" დაბეჭდვაზე. ხელშეკრულებით უნდა გამოეცათ 3000 ცალი ეგზემპლარი, რომლის საერთო ღირებულება შეადგენდა 8,1 ათას ლარს. საზოგადოებისათვის თანხა სრულად იქნა გადარიცხული, ხოლო აპარატის მიერ წიგნები შემოსავალში არ იქნა აღებული და ვერ იქნა წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტი. შემოწმების პერიოდისათვის ადგილზე აღმონდა 1921 ეგზემპლარი, ანუ მთლიანი მისაღები რაოდენობის 64%.

6. 2010 წლის 1 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და შპს „თამარიონი-2002“-ს შორის წიგნი „საქართველოს მთავრობის სტრატეგია ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში – ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ დაბეჭდვაზე. ხელშეკრულებით უნდა გამოეცათ 3000 ცალი

ეგზემპლარი, რომლის საერთო ღირებულება შეადგენდა 6,0 ათას ლარს. ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად საქონლის მიღება უნდა განხორციელებულიყო მიღება – ჩაბარების აქტით. აპარატის მიერ საზოგადოებისათვის თანხა სრულად იქნა გადარიცხული, რაც შეეხება წიგნებს შემოსავალში არ იქნა აღებული და ვერ წარმოადგინეს მიღება-ჩაბარების აქტი. შემოწმების პერიოდისათვის ადგილზე აღმოჩნდა 950 ეგზემპლარი, ანუ მთლიანი მისაღები რაოდენობის 31,6%.

7. აუდიტის პერიოდში სახელმწიფო მინისტრის 2011 წლის 10 მარტის N48 ბრძანებით ჩატარდა აპარატის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობათა ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაციით გამოვლინდა 14,1 ათასი ლარის დანაკლისი(რომელიც ერიცხება ყოფილ მინისტრსა და მინისტრის მოადგილეებს) და 196 დასახელების მატერიალური ფასეულობის ზედმეტობა.

8. სახელმწიფო მინისტრის აპარატში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა ბოლო სამი წლის მანძილზე. ძირითადი საშუალებები განპირობებული იყო ყოფილ თანამშრომლებზე და მათ მიერ არ მომხდარა ფასეულობების გადაბარება. ძირითად საშუალებებზე არ იყო მიკრული საინვენტარიზაციო ნომერი, რითაც დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისი N 605 ბრძანება “საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის” მე-3 მუხლის მოთხოვნები.

### III. ძირითადი ტექსტი.

#### 1. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა;

##### 1.1 აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

სახელმწიფო მინისტრის აპარატს (ორგანიზაციული კოდი 22 00) 2010 წლის ბიუჯეტის კანონით გეგმით დაუმტკიცდა 1 031,4 ათასი ლარი. მთავრობის სარეზერვო ფონდიდან (ეტაპობრივად) მიღებული აქვს 404,5 ათასი ლარი და დაზუსტებულმა გეგმამ 1 435,9 ათასი ლარი( მათ შორის 16,9 ათასი ლარი არაფინანსური აქტივი) შეადგინა. ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ასიგნებები გადანაწილდა და ხარჯები გაიწია შემდეგნაირად:

/ათას ლარში/

| მუხლის<br>დასახელება                            | დამტკიცებული<br>გეგმა | დაზუსტებული<br>გეგმა | ვალდებულება | მოთხოვნა | საკასო<br>ხარჯი | ფაქტიური<br>ხარჯი | სხვაობა<br>ფაქტიურს<br>და საკასო<br>ხარჯებს<br>შორის |
|-------------------------------------------------|-----------------------|----------------------|-------------|----------|-----------------|-------------------|------------------------------------------------------|
| 2010 წლის ბიუჯეტით<br>განსაზღვრული              | 1 031,4               | 1 435,9              | -           | -        | -               | -                 | -                                                    |
| ხარჯები                                         | 1 026,4               | 1 419,0              | 1,419,0     | 1 417,5  | 1417,5          | 1485,7            | 68,1                                                 |
| მათ შორის                                       |                       |                      |             |          |                 |                   |                                                      |
| შრომის ანაზღაურება                              | 823,5                 | 831,6                | 831,6       | 831,6    | 831,6           | 831,6             | 0                                                    |
| თანამდებობრივი სარგო                            |                       | 634,9                | 634,9       | 634,9    | 634,9           | 634,9             | 0                                                    |
| პრემია                                          |                       | 196,6                | 196,6       | 196,6    | 196,6           | 196,6             | 0                                                    |
| საქონელი და<br>მომსახურება                      | 202,9                 | 581,5                | 581,5       | 581,5    | 581,5           | 579,9             | -1,5                                                 |
| შტატგარეშე მომუ-თა<br>ანაზღაურება               |                       | 11,7                 | 11,7        | 11,7     | 11,7            | 11,7              | 0                                                    |
| მივლინებები                                     |                       | 226,9                | 226,9       | 226,9    | 226,9           | 233,6             | 6,7                                                  |
| ოფისის ხარჯები                                  |                       | 190,5                | 190,5       | 190,5    | 190,5           | 185,6             | -4,9                                                 |
| წარმომადგენლობითი<br>ხარჯები                    |                       | 46,5                 | 46,5        | 46,5     | 46,5            | 46,5              | 0                                                    |
| ტრანსპ. და ტექნიკის<br>ექსპლუატაციის<br>ხარჯები |                       | 87,1                 | 87,1        | 87,1     | 87,1            | 83,7              | -3,3                                                 |
| სხვა დანარჩენი საქ-ლი<br>და მომსახურება         |                       | 18,7                 | 18,7        | 18,7     | 18,7            | 18,7              | 0                                                    |
| ძირითადი კაპიტალის<br>მოხმარება                 |                       |                      |             |          |                 | 69,6              | 69,6                                                 |
| სოც. უზრუნველყოფა                               |                       | 5,8                  | 5,8         | 4,4      | 4,4             | 4,4               | 0                                                    |
| არაფინანსური აქტივები                           | 5,0                   | 16,9                 | 16,8        | 16,8     | 16,8            | -                 | -                                                    |
| მანქანა დანადგარები                             |                       | 16,8                 | 16,8        | 16,8     | 16,8            | -                 | -                                                    |

ფაქტიურ და საკასო ხარჯებს შორის სხვაობამ 68,1 ათასი ლარი შეადგინა. კერძოდ:

ა) „მივლინების“ მუხლში ფაქტიური ხარჯის მეტობა საკასო ხარჯზე 6,7 ათასი ლარით, გამოწვეულია წინა წლის მივლინების ხარჯების ნაშთის დაბრუნებით, რომელიც შეტანილი იქნა 2010 წლის იანვარში ბიუჯეტის ანგარიშზე.

ბ) „ოფისის ხარჯებში“ საკასო ხარჯის 4,9 ათასი ლარით, მეტობა ფაქტიურ ხარჯზე გამოწვეულია მიმწოდებელ ორგანიზაციებზე, სატელეფონო და ინტერნეტ მომსახურეობაზე ავანსად გადარიცხული თანხებით.

გ) „ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა-შენახვის“ მუხლში 3,3 ათასი ლარის, საკასო ხარჯის მეტობა ფაქტიურ ხარჯთან გამოიწვია საწვავის ტალონების რესურსის არსებობამ, რაც ერიცხება ანგარიშვალდებულ პირებს.

დ) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლში 69,6 ათასი ლარის ფაქტობრივი ხარჯი გამოიწვია ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვამ.

სახელმწიფო მინისტრის აპარატს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 404,5 ათასი ლარი. კერძოდ:

| /ათასი ლარი/ |                                                                                                                              |                                                      |                  |              |                  |
|--------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------|------------------|--------------|------------------|
| №            | მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის მიზანი                                                                         | თანხის გამოყოფის საფუძველი                           | გამოყოფილი თანხა | საკასო ხარჯი | ფაქტობრივი ხარჯი |
| 1.           | „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართებაში: ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ დასაფინანსებლად                   | საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №17 18.01.10  | 50,0             | 50,0         | 50,0             |
| 2.           | „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართებაში: ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ დასაფინანსებლად                   | საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №77 18.03.10  | 50,0             | 50,0         | 50,0             |
| 3.           | მნიშვნელოვან მივლინებათა დაფინანსებისა და ექსპერტული სამუშაო ჯგუფების ნორმალურ ფუნქციონირ. დაკავშირებით                      | საქართველოს მთავრობის განკარგულება №422 06.04.10     | 100,0            | 100,0        | 100,0            |
| 4.           | ჩართულობის სტრატეგიის სამუშაო გეგმის ქართულ, ინგლისურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე დაბეჭდვისა და სხვა ქვეყნებში მისი წარდგენა | საქართველოს მთავრობის განკარგულება №1080 20.08.10    | 50,0             | 50,0         | 50,0             |
| 5.           | აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისა და 2010 წლის ბოლომდე მნიშვნელოვანი მივლინებების დაფინანს-თვის.                         | საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №347 13.10.10 | 98,0             | 98,0         | 98,0             |
| 6.           | წლის ბოლომდე ფუნქციონ. ტრანსპორტის მოვლა-შენახვისა და აპარატში დაგეგმილ სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით.                | საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება №408 09.12.10 | 56,5             | 56,5         | 56,5             |

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს 2010 წლის დეკემბრის მდგომარეობით, შპს „სი თი ეს“-ის მიმართ, საზღვარგარეთ მივლინების მგზავრობის ბილეთების დავალიანება შეადგენდა 30,6 ათას ლარს, ხოლო „წარმომადგენლობითი ხარჯები“ სს „მ-ჯგუფის“ მიმართ 2,6 ათას ლარს (სულ 33,2 ათასი ლარი). სახელმწიფო მინისტრმა 2010 წლის 3 დეკემბრის N4-5/597 წერილით მიმართა ფინანსთა სამინისტროს, რომ დავალიანების დაფარვისათვის, აგრეთვე აპარატის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის, ტრანსპორტის მოვლა-შენახვისა და სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით დამატებით გამოეყოთ 90,9 ათასი ლარი. მათ მიერ გამოყოფილი იქნა მხოლოდ 56,5 ათასი ლარი. დავალიანების თანხა 33,2 ათასი ლარი გათვალისწინებული არ იქნა. სამინისტროს მიერ 2010 წლის 20 დეკემბერს გამოყოფილი თანხიდან (საგ/მოთ N918) სს „მ-ჯგუფი“-სთვის გადარიცხული იქნა 2,6 ათასი ლარი. დროულად არ მომხდარა ვალდებულების აღება დავალიანების

მთლიან თანხაზე, ხოლო დარჩენილი დავალიანება 30,6 ათასი ლარი, წლიურ ბალანსში (ფN1) ასახული არ არის.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2009 წლის ბალანსიც არასწორად იქნა შედგენილი, კერძოდ:

- დავალიანება „წარმომადგენლობითი ხარჯები“ –ს მუხლით სს „მ-ჯგუფის“ მიმართ 2010 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 2,7 ათასი ლარს. რაც მათ მიერ ასახული არ იქნა ბუღალტრულ ანგარიშგებაში და დროულად ვალდებულებაც არ იყო აღებული. 2010 წლის 12 იანვარს (საგ/მოთ N11) დაფარული იქნა წინა წლის დავალიანება ისე, რომ არ მომხდარა შეთანხმება ფინანსთა სამინისტროსთან, რითაც დარღვეულია „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 თავის, მე-20 მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ „წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დაფარვა შესაძლებელია განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით“.

- 2009 წლის დავალიანება ა/მანქანების მომსახურეობაზე შპს „იბერია ავტოლენდის“ მიმართ შეადგენდა 3,1 ათას ლარს, რომელიც გასტუმრებული იქნა 2010 წელს (საგ/ანგარიშ-ფაქტურა N085967 და N085954). ზემოაღნიშნულ თანხაზეც არ ყოფილა დროულად ვალდებულება აღებული და ასახული, როგორც დავალიანება ბუღალტრულ ანგარიშგებებში.

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის 2010 წლის 18 ნოემბრის N85-მ ბრძანების საფუძველზე, მინისტრი 19-20 ნოემბერს იმყოფებოდა სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობაში პორტუგალიის ქ. ლისაბონში დაგეგმილ „ნატოს“ სამიტის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. მგზავრობის ბილეთები მიღებული იქნა შპს „სი-თი-ესი“-დან (ინვოისი N855/11/მ). მინისტრმა არ ისარგებლა ზემოაღნიშნული ბილეთით და დამატებით 19 ნოემბერს ნაღდი ფულით შეიძინა თბილისიდან გასამგზავრებელი ბილეთი და გადაიხადა 1 576.90 ლარი, რაც ექვემდებარება ბიუჯეტში აღდგენას.

## 1.2 რეკომენდაცია:

- სახელმწიფო მინისტრის აპარატმა საბუღალტრო ოპერაციების განხორციელებისას თავისდროულად მოახდინოს ვალდებულების აღება და დავალიანების ასახვა ბუღალტრულ ანგარიშგებებში.

- წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანების დაფარვა განხორციელოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

- მივლინებაში გასამგზავრებელი ბილეთის თანხა აღდგენილი იქნეს ბიუჯეტის სასარგებლოდ.

2. აუდიტის ობიექტის მიერ საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების განხორციელებისას მომქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის მდგომარეობა;

## 2.1 აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

სახელმწიფო მინისტრის აპარატს 2010 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებული აქვს, როგორც ერთ პირთან მოლაპარაკებით, ისე ფასთა კოტირების გზით. ერთ პირთან მოლაპარაკებით ხელშეკრულება გაფორმდა 113 შემთხვევაში 179,7 ათას ლარზე, ხოლო ფაქტიური მიწოდება მოხდა 195,1 ათას ლარზე. სხვაობა 15,4 ათასი ლარი, გამოწვეულია ინტერნეტით სარგებლობითა და სატელეფონო მომსახურებით (ხელშეკრულების გაფორმების დროს მომსახურების თანხები ნაჩვენები არ იყო). ფასთა კოტირება მოხდენილია ერთ შემთხვევაში საწვავის შეძენის დროს. სახელმწიფო მინისტრის აპარატმა „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების შესაბამისად აცნობა სამ ორგანიზაციას ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს, შპს „უნიგრუპს“ და შპს „რომპეტროლი საქართველოს“. მონაწილეობა მიიღო ორმა ორგანიზაციამ (არ მიიღო შპს „უნიგრუპმა“) და გაიმარჯვა დაბალი ფასით მიწოდების ჩვენებით შპს „რომპეტროლი საქართველო“-მ, რომელსაც 2010 წლის 20 იანვარს გაუფორმდა ხელშეკრულება 38,0 ათასი ლიტრის („ევრო პრემიუმი“) მიწოდებაზე 58,9 ათასი ლარის ფარგლებში (ერთი ლიტრი 1,55 ლარი). საწვავის ფასების გაძვირებასთან დაკავშირებით (აპარატს საწვავის მიწოდება გაუძვირეს ორჯერ თებერვალში ერთი ლიტრი შეძენილია 1,70 ლარად, ხოლო ივნისში 1,71 ლარად), ხელშეკრულების მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გაფორმდა შეთანხმებები. წლის ბოლოს 24 დეკემბერს გაფორმდა საბოლოო ოქმი, სადაც აღნიშნულია, რომ საწვავის რაოდენობა შემცირდა 1200 ლიტრით, ხოლო საწვავის შესაძენი თანხა გაიზარდა 2557 ლარით და შეადგინა 61457 ლარი.

2010 წლის 2 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და შპს „პოლიტრანს“ შორის, წიგნის "ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმი"-ს დაბეჭდვაზე. ხელშეკრულებით უნდა გამოეცათ 3000 ცალი ეგზემპლარი, რომლის საერთო ღირებულება შეადგენდა 8,1 ათას ლარს (ერთეულის ღირებულება 2,70 ლარი). საქონლის მიღება უნდა განხორციელებულიყო მიღება-ჩაბარების აქტით. საზოგადოებისათვის თანხა სრულად იქნა გადარიცხული. აპარატის მიერ წიგნები შემოსავალში არ იქნა აღებული და ვერ წარმოადგინეს მიღება-ჩაბარების აქტი. შემოწმების პერიოდისათვის ადგილზე აღმოჩნდა 1921 ეგზემპლარი, ანუ მთლიანი მისაღები რაოდენობის 64%-ტი.

2010 წლის 1 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და შპს „თამარიონი-2002“-ს შორის წიგნის „საქართველოს მთავრობის სტრატეგია ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში - ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ დაბეჭდვაზე. ხელშეკრულებით უნდა გამოეცათ 3000 ცალი ეგზემპლარი, რომლის საერთო ღირებულება შეადგენდა 6,0 ათას ლარს. ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად საქონლის მიღება უნდა განხორციელებულიყო მიღება-ჩაბარების აქტით. აპარატის მიერ საზოგადოებისათვის თანხა სრულად იქნა გადარიცხული, რაც შეეხება წიგნებს, შემოსავალში არ იქნა

აღებული და ვერ წარმოადგინეს მიღება-ჩაბარების აქტი. შემოწმების პერიოდისათვის ადგილზე აღმოჩნდა 950 ეგზემპლარი, ანუ მთლიანი მისაღები რაოდენობის 31,6%-ტი.

### 3. ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის მდგომარეობა.

#### 3.1 აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები და შეფასება:

სახელმწიფო მინისტრის აპარატს 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცხებოდა 262,4 ათასი ლარის ძირითადი საშუალებები. წლის განმავლობაში შეძენილია 16,8 ათასი ლარის, კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე ინვენტარი.

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის 2010 წლის 19 ნოემბრის N97 ბრძანების საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტით, სახელმწიფო მინისტრის აპარატს გადმოეცა სამსახურეობრივი საჭიროებისათვის მოძრავი სახელმწიფო ქონება(სამი ა/ მანქანა, ორი მობილური ტელეფონი, ორი ნოუთბუქი, სავარძელი, სეიფი) საერთო ღირებულებით 170,3 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის 2010 წლის 19 ნოემბრის N17 ბრძანების საფუძველზე ეროვნული უშიშროების საბჭოს გადაეცა აპარატის ბალანსზე რიცხული ა/მანქანა „მიცუბიში პაჯერო“ ნარჩენი ღირებულებით 38.2 ათასი ლარი.

ძირითადი საშუალების ნაშთი 2011 წლის 1 იანვრისათვის შეადგენს 341,7 ათას ლარს.

თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 11 აგვისტოს N364 ბრძანებულებისა - „სამსახურეობრივი ავტომანქანების გამოყენების წესის შესახებ“ პერსონალური და ოპერატიული ავტომანქანების გარდა საქართველოს სამინისტროების ცენტრალურ აპარატს დაუდგინდა სამსახურეობრივი მიმოსვლისათვის მსუბუქი ავტომანქანების ზღვრული ოდენობა - ცენტრალური აპარატის მუშაკთა 50 საშტატო ერთეულამდე -1 ავტომანქანა(აპარატის საშტატო ნუსხა განისაზღვრა 22 ერთეულით). სახელმწიფო მინისტრის აპარატს 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცხება 12 ა/მანქანა, აქედან პერსონალურის გარდა ორი ოპერატიული.

სახელმწიფო მინისტრის 2011 წლის 10 მარტის N48 ბრძანებით შეიქმნა საინვენტარიზაციო კომისია. ინვენტარიზაციით გამოვლინდა 14,1 ათასი ლარის დანაკლისი, რომელიც ძირითადად ერიცხებათ ყოფილ მინისტრს და მინისტრის მოადგილეებს, კერძოდ: ყოფილ მინისტრს თემურ იაკობაშვილს მობილური ტელეფონებისა და ლეპტოპების დანაკლისი 9,1 ათასი ლარის, მინისტრის მოადგილეს დათუნა რაქვიაშვილს ერიცხება ლეპტოპისა და მობილური ტელეფონის დანაკლისი 2,2 ათასი ლარის, რუსლან აბაშიძეს ასევე ლეპტოპისა და მობილური ტელეფონის დანაკლისი 1,7 ათასი ლარის და დიმიტრი მანჯავიძეს მხოლოდ ლეპტოპის დანაკლისი 1,1 ათასი ლარის. კომისიის მიერ ზედმეტობა გამოვლინდა 196 დასახელების მატერიალურ ფასეულობაზე, როგორც მათი სიტყვიერი განმარტებით აღინიშნა

ფასეულობები ძირითადად ეკუთვნოდა კომფლიქტების დარგში სახელმწიფო მინისტრის აპარატს, რომელიც ამჟამად ლიკვიდირებულია.

პირველადი დოკუმენტების შემოწმებით გაირკვა, რომ ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა ბოლო სამი წლის მანძილზე. ძირითადი საშუალებები განპირობებულია ყოფილ თანამშრომლებზე და მათ მიერ არ მომხდარა ფასეულობების გადაბარება. ძირითად საშუალებებზე არ იყო მიკრული საინვენტარიზაციო ნომერი, რითაც დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისი N 605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“ მე-3 მუხლის ა) და თ) ქვეპუნქტები. ინვენტარიზაციის დროს მოხდა საინვენტარიზაციო ნომრის მიკვრა.

ზემოაღნიშნულ პროცესზე დაკვირვების შედეგად მიგვაჩნია, რომ საჭიროა შიდა კონტროლის მექანიზმების გაძლიერება ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით.

სახელმწიფო მინისტრის აპარატს 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცებოდა „მივლინების მუხლით“ 6,7 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც ბიუჯეტის სასარგებლოდ შეტანილი იქნა 2010 წლის იანვარში, ხოლო კრედიტორული დავალიანება 1,6 ათასი ლარის ერიცებოდა შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს მიმართ, რომელიც გადარიცხული იქნა 2010 წლის 8 იანვარს. 2011 წლის 1 იანვრისათვის ერიცებოდა, მხოლოდ 4,9 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც მინისტრის აპარატის მიერ ავანსად იქნა გადარიცხული სატელეფონო და ინტერნეტ მომსახურეობაზე.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ბალანსი 2011 წლის 1 იანვრისათვის.

(ათას ლარებში)

| აქტივები                      | ნაშთი<br>წლის<br>დასაწყ. | ნაშთი<br>წლის<br>ბოლოს | ვალდებულებები და<br>კაპიტალი               | ნაშთი<br>წლის<br>დასაწყ. | ნაშთი წლის<br>ბოლოს |
|-------------------------------|--------------------------|------------------------|--------------------------------------------|--------------------------|---------------------|
| მოთხოვნები მივლინებით         | 6,7                      | -                      | ვალდებულ. მიწოდებიდან<br>და მომსახურებიდან | 1,6                      | -                   |
| მოთხოვ.სხვა წინასწ. გადახდებ. | -                        | 4,9                    | კაპიტალი                                   |                          |                     |
| არაფინანსური აქტივები         |                          |                        | წმინდა ღირებულება                          | 272,3                    | 253,1               |
| მანქანა დანადგ. და ინვენტარი  | 261,8                    | 341,2                  | -                                          | -                        | -                   |
| სხვა ძირითადი აქტივები        | 0,6                      | 0,5                    | -                                          | -                        | -                   |
| სხვა მატერიალური მარაგები     | 4,7                      | 6,4                    | -                                          | -                        | -                   |
| ბალანსი                       | 273,9                    | 353,1                  | ბალანსი                                    | 273,9                    | 353,1               |

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 აპრილის № 340 ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმები წარდგენილია სრულად. ამასთან ერთად წლიური ბუღალტრული ანგარიშგება (ბალანსი) წარდგენილია აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში.

### 3.2 რეკომენდაცია:

- მატერიალური ფასეულობის ზედმეტობის თაობაზე ეცნობოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს ფასეულობათა შეფასება და შემოსავალში აღება.
- ყურადღება მიექცეს მატერიალური ფასეულობის ყოველწლიურ ინვენტარიზაციას.
- გათვალისწინებული იქნეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისი N 605 ბრძანება "საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის" მოთხოვნები.

## IV აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაქვთ უფლებამოსილება აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროთ მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში, ქ. თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უფროსი აუდიტორი

ხელმოწერა/თარიღი

თამაზ გურგენიძე

აუდიტორი

გიორგი მშვილდაძე

## დანართი A

აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები.

- თ. იაკობაშვილი – რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი – 2010 წლის 20 ნოემბრამდე.
- ე. ტყეშელაშვილი - რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი – 2010 წლის 20 ნოემბრიდან.
- კ. ოქროჯანაშვილი - საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსი - 2010 წლის დეკემბრიდან.
- ნ. დარჩიაშვილი - აპარატის უფროსი - 2010 წლის იანვრამდე.
- ი. ბალიაშვილი - მთავარი ბუღალტერი – მთელი შემოწმების პერიოდში.

## დანართი B

გამოყენებული კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები.

საქართველოს კანონი „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;

საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“

საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 11 აგვისტოს N364 ბრძანებულება „სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის შესახებ“

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 აპრილის № 340 ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმები დამტკიცების შესახებ“.